

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკა

ფულის გათეთრების პრევენცია

რის გაკეთება მომეთხოვება მე?

თქვენ შესაძლოა მოგიწიოთ თქვენი ვინაობისა და სხვა პირადი მონაცემების დადასტურება. eCapital-მა შექმნა შემოწმების სპეციალური სისტემები, რომლებიც საბანკო ანგარიშისა და გადახდის ბარათების გამოყენების საშუალებით ადასტურებს თქვენს ვინაობას.

როდის?

შესაძლოა მოგთხოვონ თქვენი ვინაობის დადასტურება, როგორც ახალი საქმიანი ურთიერთობის დამყარებისას, ასევე მაშინაც, თუ უკვე ხართ მომხმარებელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ჩვენი გადახდის სისტემის ერთიანობის უზრუნველსაყოფად, შესაძლოა eCapital-ში გახსნილი თქვენი ანგარიში დაექვემდებაროს ტრანზაქციის პერიოდულ შეზღუდვებს, რომელიც დამოკიდებულია მომხმარებლის სტატუსსა და მოხმარების ინტენსივობაზე.

რატომ?

ვინაიდან, უკანონო შემოსავლის (ნარკოტიკების, იარაღის ვაჭრობიდან, ტრეფიკინგის ან კორუფციის შედეგად მიღებული შემოსავალი) ლეგალიზაციის მიზნით კრიმინალურმა ჯგუფებმა შესაძლოა ისარგებლონ უდანაშაულო პირებით (მათ შორის თქვენით) და გამოიყენონ მათი ვინაობა, ამიტომ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ ყველა მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემების სისწორესა და შესაბამისობაში. არცერთ შემთხვევაში ეს არ გულისხმობს რომ თქვენ ხართ ეჭვიმთავარი – პირიქით, ყველაფერი ეს ემსახურება იმას, რომ დაცული იყოს თქვენი რეპუტაცია და არ დაუშვათ თქვენი სახელით ისარგებლოს სხვამ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მიერ შექმნილმა იდენტიფიკაციის დამადასტურებელმა სისტემებმა შესაძლოა მაქსიმალურად მცირე დისკომფორტი შეგიქმნათ, შემოწმების პროცესს სჭირდება რამდენიმე დღე.

ვინ არის ჩართული?

მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფოები და ფინანსურ ოპერაციებში ჩართული ორგანიზაციები გაერთიანდნენ, რათა შეაჩერონ ფინანსური დანაშაულების გავრცელება და მათი საერთაშორისო ძალისხმევა ემსახურება ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მკაცრი ზომების მიღებას.

თქვენი თანამშრომლობა საერთაშორისო ფინანსურ დანაშაულთან წინააღმდეგ ბრძოლაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია შემდეგი:

- შევამოწმეთ ვინაობა და მისამართი.
- ვაწარმოთ ყველა ტრანზაქციის ჩანაწერი წარმოდგენილ იდენტიფიკაციასთან ერთად.
- ვაკონტროლოთ ნებისმიერი სახის უჩვეულო ან საეჭვო ტრანზაქცია
- განვაცხადოთ ნებისმიერი საეჭვო ტრანზაქციის შესახებ.